სამყაროს შეიცნობა

1

სახელმძღვანელო

AZƏRBAYCAN RESPUBLİKASININ DÖVLƏT HİMNİ

Musiqisi ***Üzeyir Hacıbəylinin,***
sözləri ***Əhməd Cavadındır.***

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!

Minlərlə can qurban oldu,
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

ელშად იუნუსოვი
იალჩინ ისლამზადე
გულერ მეჰდიევა
ელმარ იმანოვი
ელმინა ქაზიმზადე
ფამილ ალექბეროვი

სამყაროს შემეცნება 1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 1-ელი კლასებისათვის
სამყაროს შემეცნების საგნის სახელმძღვანელო

© Azərbaycan Respublikası Elm və Təhsil Nazirliyi

Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 4.0 International (CC BY-NC-SA 4.0)

Bu nəşr Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 4.0 International lisenziyası (CC BY-NC-SA 4.0) ilə www.trims.edu.az saytında əlçatandır.
Bu nəşrin məzmunundan istifadə edərkən sözügedən lisenziyanın şərtlərini qəbul etmiş olursunuz:

İstinad zamanı nəşrin müəllif(lər)inin adı göstərilməlidir.

Nəşrdən kommersiya məqsədilə istifadə qadağandır.

Törəmə nəşrlər orijinal nəşrin lisenziya şərtlərilə yayılmalıdır.

გთხოვთ ამ გამოცემასთან დაკავშირებული
თქვენი შენიშვნები და წინადადებები გამოაგზავნოთ
trm@arti.edu.az და **derslik@edu.gov.az** ელექტრონულ მისამართებზე.
წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

სარჩევი

1 ვინ ვარ მე 7

1. ჩემი სკოლა 8
2. ჩემი ოჯახი 10
3. ჩემი ქვეყანა 12
4. მე აზერბაიჯანელი ვარ 14
5. სად ვცხოვრობ მე 16
6. ურთიერთობა 18
7. დისციპლინა 20
განმაზოგადებელი დავალებები 22

2 ჯანმრთელობა 23

8. სხეულის ნაწილები 24
9. მსგავსება და განსხვავება 26
10. როგორ დავიცვათ სხეულის სისუფთავე 28
11. ჯანსაღი კვება 31
განმაზოგადებელი დავალებები 34

3 ადამიანები და საგნები 35

12. ენები 36
13. რელიგიები 38
14. მე და ჩემი ამხანაგები 40
15. ჩვენი ნივთები სახლში 43
16. რისგან მზადდება ნივთები 45
17. მასალების თვისებები 47
18. ნივთების გადაადგილება 50
19. საყოფაცხოვრებო ნივთები ჩვენს სახლში 52
განმაზოგადებელი დავალებები 54

4 გარემო ჩვენს ირგვლივ 55

20. როგორ შევიცნობთ გარემოს ჩვენს გარშემო 56
21. საიდან ისმის ხმა 59
22. როგორი ამინდია დღეს 61
23. რა გავლენას ახდენს ჩვენზე წელიწადის დროები 63
24. ცოცხალი და არაცოცხალი 66
25. რა არის საჭირო სიცოცხლისათვის 68
განმაზოგადებელი დავალებები 70

5 ფრთხილად ვიყოთ 71

26. სატრანსპორტო საშუალებები 72
27. ყურადღებით ვიყოთ 74
28. როგორ დავიცვათ თავი ღვარცოფისაგან 76
29. საგანგაშო გამოძახება 78
განმაზოგადებელი დავალებები 80

სახელმძღვანელოში გამოყენებული პერსონაჟები

სენანი



სევილა

აზერი

სებინე

ელხანი

გუნაი

ქემრანი



ლეილა

გავეცნოთ სახელმძღვანელოს

განყოფილების ირგვლივ
ხდება ინფორმაციის წარდგენა და დასმული შეკითხვებით მოსწავლეებს განყოფილების შესახებ ექმნებათ წარმოდგენა.

მოსწავლეების განხილვაში ჩართვით, მათში ვიწვევთ **თემისადი** ინტერესს.

საკვანძო სიტყვები
თემაში შესწავლილი ახალი სიტყვები და ცნებები.

საქმიანობა
მოსწავლეებს უვითარებს პრაქტიკულ ჩვევებს.

ხდება შესწავლის შედეგად გათვალისწინებული **ცნებების** წარდგენა.



განხილვა და **დავალებები**
უვითარებს მოსწავლეებს დამოუკიდებელი აზროვნების ჩვევებს და განუმტკიცებს შეძენილ ცოდნას.



კითხვების დახმარებით მოწმდება მოსწავლეების **თემის ცოდნის** ათვისება.

განყოფილებიდან ათვისებული ცოდნა და ჩვევები განმტკიცდება გამეორებით.

ხდება შეძენილი ცოდნისა და ჩვევების გაღრმავება თამაშით, განხილვითა და უფროსების დახმარებით სხვადასხვა ფორმის საქმიანობით.

1 ვინ ვარ მე

მზად ხართ?

- რატომ მიდიან მოსწავლეები სკოლაში?
- როგორ შეიძლება გაიცნონ ბავშვებმა ერთმანეთი?

1 ჩემი სკოლა

საკვანძო სიტყვები

- სკოლა
- კლასი
- გაცნობა

ქემრანი

მე მქვია ქემრანი.
მე ხატვა შემიძლია.

მე მქვია სევილა.
მე ვიცი ასოები.

სევილა

- როგორ აცნობენ ბავშვები საკუთარ თავს?
- საკუთარ თავს თქვენ თვითონ როგორ წარადგენდით?

საქმიანობა — გაცნობა

გაიცანით მერხის ამხანაგი. ჰკითხეთ რომელია მისი საყვარელი სათამაშო და ის დახატეთ.

შესწავლა

სასკოლო ასაკს მიღწეული თითოეული ბავშვი სკოლაში მიიღება. თქვენ უკვე სკოლის მოსწავლე ხართ. სკოლაში ბავშვები ახალ ცოდნას იძენენ და ახალ მეგობრებს გაიცნობენ.

განხილვა

- რატომ იღებენ ბავშვები განათლებას?
- სად შეუძლიათ განათლების მიღება სკოლამდელი ასაკის ბავშვებს?

დავალება

1. რას აკეთებენ ბავშვები სკოლაში? ისაუბრეთ სურათების მიხედვით.



2. შეაერთეთ სურათები შესაბამის წინადადებებთან.

სასკოლო ნივთები ჩანთაში ჩავაწყვე. მე მზად ვარ სკოლისათვის.	ჩვენი მასწავლებელი გავიცანით. ის ძალიან კეთილია.	მე ძალიან მომეწონა ჩვენი საკლასო ოთახი.

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რა მოგეწონათ სკოლაში?
- ვინ გაიცანით?
- რა გაიგეთ მათ შესახებ?

2 ჩემი ოჯახი

საკვანძო სიტყვები

- ოჯახის წევრი
- მშობელი
- ზრუნვა



- ვინ არიან გამოსახული სურათზე?
- როგორ იწოდებიან ისინი ყველა ერთად?

საქმიანობა ოჯახის ხე

ეს ოჯახის ხეა. დააწერეთ ხის ფოთლებზე ოჯახის წევრების სახელები.



შესწავლა

ოჯახი - ეს არის მშობლიური და ახლო ადამიანების კავშირი. მშობლები და ბავშვები ოჯახის წევრებია. ზოგიერთ ოჯახში ბებიები და პაპები ცხოვრობენ თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებთან. ოჯახში ყველა ერთმანეთს სიყვარულითა და ზრუნვით ეპყრობა.

განხილვა

- როგორ ატარებთ დროს თქვენი ოჯახის წევრებთან?

დავალება

რომელ საქმეებში ეხმარებიან ოჯახში უფროსები ბავშვებს?
ისაუბრეთ სურათების მიხედვით.

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- ვინ არიან ოჯახის წევრები?
- როგორ ექცევიან ოჯახის წევრები ერთმანეთს?

გაკვეთილების შემდეგ

შეეკითხეთ მშობლებს:
– რომელ თამაშობებს თამაშობდნენ ბავშვობაში?

3 ჩემი ქვეყანა

საკვანძო სიტყვები

- დროშა
- გერბი
- ჰიმნი

- რა ჰქვია ჩვენს ქვეყანას?
- რომელი ქალაქია ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი?

საქმიანობა — სახელმწიფოს სიმბოლოები

1. შესაბამისი ციფრების ჩაწერით, შეავსეთ წინადადება ჩვენი დროშის შესახებ. ჩვენს დროშას აქვს ..... ფერი. მასზე ვარსკვლავს აქვს ..... ქიმი.
2. აღნიშნეთ (✓)-ით ნაწილები, რომლებისგანაც შედგება ჩვენი გერბი.



შესწავლა



ყოველ ქვეყანას აქვს თავისი სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი. ისინი სახელმწიფოს სიმბოლოებია. ქვეყნების ცნობა ხდება მათი სახელმწიფო სიმბოლოებით.

ჩვენი ქვეყანაა აზერბაიჯანი. აზერბაიჯანს სამფეროვანი დროშა, გერბი და ჰიმნი აქვს.

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქია ქალაქი ბაქო. ჩვენი სახელმწიფო ენა აზერბაიჯანული ენაა, ფულის ერთეული აზერბაიჯანული მანათია.

განხილვა

- გამარჯვებულისათვის ოქროს მედლის გადაცემისას რატომ სრულდება მისი ქვეყნის ჰიმნი?

დავალება

1. რომელ სურათზეა გამოსახული ჰიმნის შემსრულებელი ბავშვები?

2. მოცემული კუპიურებიდან რომელი მიეკუთვნება აზერბაიჯანს?

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რით ხდება ქვეყნების ცნობა?
- რა მიეკუთვენება სახელმწიფო სიმბოლოებს?
- რა ეწოდება ჩვენი ქვეყნის ფულად ერთეულს?

4 მე აზერბაიჯანელი ვარ

საკვანძო სიტყვები

- გამარჯვების დღე
- "ხარიბულბული"

აზერი

8 ნოემბერი გამარჯვების დღეა!

გამარჯვების დღეს საყელოზე გავიკეთებ "ხარიბულბულის" ნიშანს!

ლეილა

- რომელ დღესასწაულს აღვნიშნავთ 8 ნოემბერს?
- როგორ დაარსდა ეს დღესასწაული?

საქმიანობა ხარიბულბული

ციფრების შესაბამისად გააფერადეთ სურათის ნაწილები.

1 2 3 4 5



შესწავლა

გამარჯვების დღეს ჩვენი ხალხი მტერზე გამარჯვებას ზეიმობს. გამარჯვების დღე ყველა აზერბაიჯანელის სიამაყის დღეა! ყვავილი ხარიბულბული ჩვენი გამარჯვების, ჩვენი ყარაბაღის, ჩვენი შუშისა და ჩვენი შეჰიდი ჯარისკაცების ხსოვნის სიმბოლოა.

განხილვა

- რატომ აღვნიშნავთ ზეიმით გამარჯვების დღესასწაულს?
- რა განცდები გვეუფლება გამარჯვების დღეს?

დავალება

აღნიშნეთ გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი სურათი (✓).

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რატომ ვთვლით გამარჯვების დღეს საამაყო დღედ?
- რა ჰქვია ყვავილს, რომელიც არის ჩვენი გამარჯვების სიმბოლო?

გაკვეთილების შემდეგ

– თხოვეთ თქვენს მშობლებს გესაუბრნონ ხარიბულბულის შესახებ.

5 სად ვცხოვრობ მე

საკვანძო სიტყვები

- გზა
- შუქნიშანი
- ქვეითთა გადასასვლელი

სენანი

ჩვენი სახლის გვერდით სათამაშო პარკი და მარკეტია.

სკოლისა და პარკის გზაზე არის ქვეითთა გადასასვლელი.

სებინე

- რა არის თქვენი სახლის გვერდით?
- თქვენ რა გხვდებათ სკოლაში წამოსვლისას გზაზე?

საქმიანობა სკოლის გზა

გამოსახეთ თქვენი სკოლის გზა.
სახლიდან სკოლაში წასვლისას, რა იქცევს თქვენს ყურადღებას? დაწერეთ სურათის ნაპირზე.

შესწავლა

“ქვეითთა გადასასვლელი”

მიაქციეთ ყურადღება, რა არის თქვენი საცხოვრებელი სახლის გარშემო და დაიმახსოვრეთ. თუ მშობლებს შემთხვევით დაშორდებით, ამის დახმარებით თქვენ ადვილად შეძლებთ იპოვოთ თქვენი სახლი.
გზის გასწვრივ უნდა იმოძრაოთ ტროტუარზე. საავტომობილო გზებზე არის ადგილები, სადაც დახაზულია თეთრი ზოლები. ეს არის ქვეითთა გადასასვლელი. საჭიროა გზაზე ყოველთვის გადახვიდეთ ქვეითთა გადასასვლელზე. თუ არის შუქნიშანი, გზაზე გადასვლისას, საჭიროა მიაქციოთ ყურადღება მის ფერს.

მძღოლების შუქნიშანი

ქვეითთა შუქნიშანი

თუ ანთია წითელი ფერი, საჭიროა გაჩერება.
ყვითელი ფერი მოძრაობას კრძალავს.
თუ ანთია მწვანე ფერი, მოძრაობის დაწყება შეიძლება.
ამის ცოდნა მნიშვნელოვანია თქვენი უსაფრთხოებისათვის.

განხილვა

- იმის ცოდნა, რა არის თქვენი სახლის გარშემო, როგორ შეიძლება დაგეხმაროთ მის მოძებნაში?
- მძღოლებისათვის შუქნიშნის რომელ ფერზე ქვეითმა უნდა მოიცადოს?

დავალება

ვინ გადადის უსაფრთხოდ გზაზე? აღნიშნეთ (✓).



შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რას აღნიშნავენ შუქნიშნის სინათლის ფერები?
- რა არის გამოსახული ქვეითთა გადასასვლელის ნიშანზე?

6 ურთიერთობა

საკვანძო სიტყვები

- ზრდილობის წესები
- პატივისცემა
- ყურადღება

- რას აკეთებენ ბავშვები?
- ვის მიესალმეთ დღეს სკოლაში?

საქმიანობა ჯადოსნური სიტყვები

ჩაწერეთ სიტყვები შესაბამის ცარიელ ადგილებში.

ნახვამდის! სალამი! გმადლობთ!

შესწავლა

ადამიანები შეხვედრისას ერთმანეთს ესალმებიან. როცა რაიმე უნდათ თხოვენ. დაშორებისას ემშვიდობებიან ეს ზრდილობის წესებია.
ურთიერთობების დროს ამ წესების დაცვით ჩვენ ვავლენთ ყურადღებას და პატივს ვცემთ ერთმანეთს.

განხილვა

- რისთვის არის საჭირო ზრდილობის წესები?
- როგორ შემთხვევებში იყენებთ თქვენ სიტყვას "გთხოვთ"?
- ვის მიმართავთ თქვენობით?

დავალება

აღნიშნეთ სურათებზე:

1. ზრდილობის წესები ირღვევა
2. ხდება ზრდილობის წესების დაცვა

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რომელ ზრდილობის წესებს იცავთ თქვენ?
- რომელ სიტყვებს იყენებთ ურთიერთობის დროს?

7 დისციპლინა

საკვანძო სიტყვები

- წესი
- აკურატულობა

- რას აკეთებენ ბავშვები?
- რას ხედავთ იატაკზე?

საქმიანობა ტექნოლოგიის გაკვეთილზე

ჩაწერეთ ბავშვების სახელები ჩარჩოში, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

შესწავლა

ჩვენი კლასი ყოველთვის სუფთაა, იმიტომ რომ:
- ჩვენ არ ვყრით ნაგავს კლასში იატაკზე;
- მცენარეებს არ ვაწყვეტთ ფოთლებს;
- არ ვჩხაპნით მერხებზე;
- არ ვხატავთ კედლებზე.

ეს არის ჩვენი კლასის შიგა დისციპლინის წესი. ჩვენ ვიცავთ ამ წესებს არა მხოლოდ კლასში, არამედ სახლშიც, ქუჩაშიც, ტრანსპორტშიც და სათამაშო მოედნებზეც. ისინი, ვინც იცავენ წესებს დისციპლინირებული ადამიანებია.

განხილვა

- თქვენი აზრით, კიდევ რომელი ზრდილობის წესების დაცვაა საჭირო კლასში?
- რომელი წესები უნდა დაიცვან ბავშვებმა სათამაშო მოედნებზე?

დავალება

რომელ სურათებზე არ იცავენ ბავშვები ქცევის წესებს?



შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რა უნდა გააკეთონ მოსწავლეებმა კლასში აკურატულობის დაცვისათვის?
- კიდევ სად არის საჭირო წესების დაცვა?
- რატომ არის აუცილებელი წესების დაცვა?

გაკვეთილების შემდეგ

– გაამახვილეთ ყურადღება პარკში ადამიანების ქცევაზე. როგორ იცავენ ისინი საზოგადოებრივ ადგილებში ქცევის წესებს?

განმაზოგადებელი დავალებები

1. როგორ შეიძლება ვიპოვოთ გამოფენაზე ნიმუში აზერბაიჯანის შესახებ?

2. რომელი ყვავილია გამარჯვების დღის სიმბოლო?

3. შუქნიშანზე რომელი ფერის ანთებისას უნდა გადახვიდეთ გზაზე?

4. რომელ სურათზე ხდება ზრდილობის წესების დაცვა?

2 ჯანმრთელობა

მზად ხართ?

- რატომ არის მნიშვნელოვანი სხეულის ჰიგიენა?
- რა მოხდება, თუ სწორად არ ვიკვებებით?
- რას ვაკეთებთ ჩვენ დღის განმავლობაში?

8 სხეულის ნაწილები

საკვანძო სიტყვები

- სხეულის ნაწილები
- იდაყვი
- მუხლი
- მოძრაობა

- სხეულის რომელ ნაწილებს იყენებთ სირბილის დროს?

საქმიანობა სხეულის ნაწილები

ცარიელ უჯრებში ჩაწერეთ სხეულის ნაწილების რაოდენობა.

მე ☐ ხელი მაქვს

მე ☐ ყური მაქვს

მე ☐ ცხვირი მაქვს

მე ☐ მკლავი მაქვს

მე ☐ თვალი მაქვს

მე ☐ ენა მაქვს

მე ☐ ფეხი მაქვს

შესწავლა

სხეული სხადასხვა ნაწილებისაგან ანუ წევრებისაგან შედგება. სხეულის თითოეულ წევრს თავისი ფუნქცია აქვს. მათი დახმარებით ჩვენ შეგვიძლია სიარული და სირბილი, ახტომა და ცურვა, ხატვა და საუბარი. როცა ჩვენ ვხატავთ, ხელი მოძრაობს იდაყვის დახმარებით. სიარულისას ჩვენი მუხლები ეხმარებიან ფეხებს მოძრაობაში.



განხილვა

- როგორ გვეხმარებიან მუხლები სიარულისა და სირბილის დროს?

დავალება

1. შეაერთეთ სხეულის თითოეული ნაწილი მის დასახელებასთან.



2. სხეულის ამ ნაწილებიდან რომლებით ვსარგებლობთ, როცა ვხატავთ?

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- სხეულის რომელ ნაწილებს ვიყენებთ როცა ვწერთ?
- სხეულის რომელი ნაწილები იცით თქვენ?

9 მსგავსება და განსხვავება

საკვანძო სიტყვები

- მსგავსება
- განსხვავება

- რა მსგავსებაა სურათზე გამოსახულ ბავშვებს შორის?
- თქვენ რით განსხვავდებით ერთმანეთისაგან?

საქმიანობა — განსხვავება

გააფერადეთ ნომრების ფერების შესაბამისად.

1 – ყვითელი
3 – შავი
5 – ღია ვარდისფერი
7 – თეთრი
2 – ყავისფერი
4 – ნარინჯისფერი
6 – მუქი ყავისფერი



ჩამოთვალეთ გამოსახული ბავშვების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები.

შესწავლა

თითოეულ ჩვენგანს გვაქვს თმები, თვალები, ყურები, პირი და ცხვირი. თუმცა ჩვენ განვსხვავდებით ჩვენი თმების ფერით, თვალებითა და კანით, ცხვირისა და ყურების ფორმით, სიმაღლითა და ასაკით, ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ.

განხილვა

- რა მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები გაქვთ მერხის ამხანაგთან?
- რა მოხდებოდა, თუ კლასის ყველა მოსწავლეს ერთნაირი სახე ექნებოდა?

დავალება

ყურადღებით
დააკვირდით სურათს.
რაშია ამ ადამიანების
მსგავსება და განსხვავება?

შეამოწმეთ საკუთარი თავი

რომელი სამი მსგავსი და სამი განმასხვავებელი ნიშანი შეგიძლიათ აღნიშნოთ თქვენი ოჯახის წევრებს შორის?

10 როგორ დავიცვათ სხეულის სისუფთავე

საკვანძო სიტყვები

- სხეულის სისუფთავე
- ფრჩხილების დაჭრა
- ბანაობა

- რას აკეთებთ იმისათვის, რომ თქვენი კბილები იყოს სუფთა?
- რატომ არის აუცილებელი კბილების გასუფთავება?

საქმიანობა სისუფთავე

აღნიშნეთ სურათები (✓)-ით, რომლებზეც გამოსახულია თქვენი სხეულის სისუფთავის დაცვის ჰიგიენის საშუალებები.



რა მიზნით იყენებთ ჰიგიენის იმ საშუალებებს, რომლებიც აღნიშნეთ?

შესწავლა

ჩვენ ვივარცხნით თმებს, დროულად ვიჭრით ფრჩხილებს, შევიჭრით გაზრდილ თმებს, რათა ვიყოთ სუფთა და მოწესრიგებული.

ჩვენი ჯანმრთელობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია დაბანა, კბილების გასუფთავება და ბანაობა.

განხილვა

- რა სარგებლობა აქვს ხელების დაბანას ჭამის წინ?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ფრჩხილების დაჭრა ხელებსა და ფეხებზე?

დავალება

1. შესაბამისი სურათები შეაერთეთ ხაზებით.

სავარცხელი *ფრჩხილების საჭრელი* *შამპუნი* *კბილის პასტა* *ტუალეტის ქაღალდი*

2. წერტილების ადგილას ჩაწერეთ შესაბამისი სიტყვები



ფრჩხილების საჭრელი *კბილის ჯაგრისი* *საპონი* *სავარცხელი*

ფრჩხილებს ..... ით ვიჭრი.

კბილებს ..... ით ვიხეხავ.

თმებს ..... ით ვივარცხნი.

ხელებს ..... ით ვიბან.

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რა მოხდება თუ არ იბანავეთ?
- ჰიგიენის რომელ საშუალებებს იყენებთ?

11 ჯანსაღი კვება

საკვანძო სიტყვები

- ჯანსაღი კვება
- გაზიანი სასმელები
- ჯანსაღი საკვები

- რას მიირთმევთ საუზმეზე?

საქმიანობა სუფრა

მოცემული კვების პროდუქტების ხაზებით მაგიდასთან შეერთებით გაშალეთ თქვენთვის სუფრა.



რას მიაქციეთ ყურადღება სუფრის გაშლისას?

შესწავლა

იმისათვის, რომ ვიმოძრაოთ და შევასრულოთ ჩვენი სამუშაო, გვესაჭიროება ენერგია. ჩვენ ენერგიას ვიღებთ საკვებიდან.
იმისათვის, რომ ვიყოთ ჯანმრთელები დროულად და საჭირო ოდენობით უნდა მივიღოთ საკვები სხვადასხვა სახის პროდუქტებისაგან. ერთი და იმავე პროდუქტების ხშირი გამოყენება ვნებს ჩვენს ჯანმრთელობას.

ამ პროდუქტებისაგან ვიღებთ ენერგიას თამაშისა და სწავლისათვის.

ბრინჯი

ატრია

პური

კარტოფილი

ეს პროდუქტები გვეხმარებიან გაზრდაში.

რძე

კვერცხი

ყველი

თევზი

ხორცი

ხილი და ბოსტნეული დაავადებების წინააღმდეგ გამძლედ გვაქცევს.

ხილი

ბოსტნეული

ეს საკვები კი ჯანმრთელობისათვის საზიანოა.

გაზიანი სასმელი

ჟელიბონი

ჩიფსი

კანფეტი

განხილვა

- რატომ უნდა ვიკვებოთ სხვადასხვა პროდუქტით?
- რა უნდა გამოვიყენოთ საკვებად, რომ ვიყოთ გამძლეები დაავადებებთან და გავიზარდოთ?
- როგორ შეიძლება მიაყენოს ზიანი თქვენს ჯანმრთელობას კანფეტის ზომაგადასულმა მოხმარებამ?

დავალება

პროდუქტები, რომლებიც სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისათვის, შემოხაზეთ მწვანე ფანქრით, ხოლო მავნე პროდუქტები - წითელი ფანქრით.

ვაშლი

ჩიფსი

თევზი

ლეღვი

კვერცხი

ბადრიჯანი

კანფეტი

წყალი

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რომელ პროდუქტებს ურჩევთ მეგობარს, თუ ის ავად გახდება?
- რომელი კვების პროდუქტები არის უფრო სასარგებლო საუზმეზე?

განმაზოგადებელი დავალებები

1. ჩაწერეთ სხეულის ნაწილების დასახელება შესაბამის ცარიელ უჯრებში.

თმა	ყური	ცხვირი	თვალი	თითი	ფეხი
პირი	მხარი	მკლავი	ხელი	მუხლი	ტერფი



2. ხაზებით შეაერთეთ კალათასთან სასარგებლო პროდუქტები, რომლებსაც მოიხმართ.



3 ადამიანები და საგნები

მზად ხართ?

- რომელი თამაშობებით თამაში გიყვართ?
- რას გააკეთებდით თქვენი გუნდის წარმატებისათვის?

12 ენები

საკვანძო სიტყვები

- ენა
- ურთიერთობა



- ხმამაღლა წაიკითხეთ დაფაზე დაწერილი სიტყვები. თქვენი აზრით, რას აღნიშნავენ ეს სიტყვები?
- რატომ იწერება და წარმოითქმება ეს სიტყვა სხვადასხვანაირად?

საქმიანობა ენები

დაასახელეთ ციფრები და საგნები იმ უცხო ენაზე, რომელსაც სწავლობთ.

4

7

8

9

უცხო ენაზე კიდევ რომელი საგნების დასახელება იცით?

შემსწავლა

ენა - ეს ურთიერთობის საშუალებაა. ენის საშუალებით ადამიანები უზიარებენ აზრებს. ჩვენს ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებიც აზერბაიჯანულ ენასთან ერთად, საუბრობენ სხვა ენებზეც. ისინი ერთად მეგობრულად ცხოვრობენ და პატივისცემით ეპყრობიან ერთმანეთს.

განხილვა

- რა მნიშვნელობა აქვს ენას ჩვენთვის?
- როგორ ააგებთ ურთიერთობას სხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანთან?

დავალება



შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რატომ ითვლება ენა ურთიერთობის საშუალებად?
- როგორ უნდა მიმართონ ერთმანეთს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებმა?

გაკვეთილების შემდეგ

შეეკითხეთ მშობლებს:

– ენის ამოდგმისას, რა იყო თქვენი პირველი სიტყვები?

13 რელიგიები

საკვანძო სიტყვები

- იუდაიზმი
- ქრისტიანობა
- ისლამი

ჩვენი რელიგია – ისლამია.

ჩვენი რელიგია – ქრისტიანობაა.

ჩვენი რელიგია – იუდაიზმია.

- რა შეგიძლიათ თქვათ სურათებზე წარმოდგენილი შენობების შესახებ?

საქმიანობა — რელიგიური სიმბოლოები

გააფერადეთ მოცემული სიმბოლოები და დაასახელეთ ისინი.



_____ _____ _____

თქვენი აზრით, რომელ რელიგიებს მიეკუთვნება ეს სიმბოლოები?

შემსწავლა

ადამიანებს სწამთ სხვადასხვა რელიგია. ისლამი, ქრისტიანობა და იუდაიზმი მოუწოდებენ ადამიანებს იყვნენ კეთილი.
ადამიანები, რომლებსაც სწამთ სხვადასხვა რელიგია, სწავლობენ ერთ სკოლაში, ერთად მუშაობენ. ისინი ცხოვრობენ მეგობრულად და პატივისცემით ეპყრობიან ერთმანეთს.

განხილვა

- რას ნიშნავს იყო კეთილგანწყობილი?

დავალება

იპოვეთ შესაბამისობა და ისინი ხაზებით შეაერთეთ.



იუდაიზმი | ქრისტიანობა | ისლამი

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რომელ რელიგიებს იცნობთ?
- როგორ უნდა მოექცნენ ერთმანეთს სხვადასხვა სარწმუნეობის მიმდევრები?

14 მე და ჩემი ამხანაგები

საკვანძო სიტყვები

- გუნდი
- გუნდის წევრი
- დაყოფა

- შეიძლება თუ არა ერთმა ითამაშოს დამალობანა?
- რომელ თამაშობებს თამაშობთ ერთად?

საქმიანობა — გუნდები ეჯიბრებიან

რესურსები: ორი ბარათი სურათებით, რომლებიც პირქვეა დადებული.

1. გაიყავით ორ გუნდად.
2. აირჩიეთ ლიდერები გუნდებისათვის.
3. გუნდები დადგებიან ორ წრედ.
4. ლიდერები მიდიან და იღებენ თითო ბარათს. ბარათზე გამოსახულ სურათზე შეხედვის შემდეგ დადებენ მას თავის ადგილას.
5. წრეში დაბრუნების შემდეგ ლიდერი გვერდზე მდგომ ამხანაგს ყურში უჩურჩულებს რა არის გამოსახული ბარათზე. ამ მიმდევრობით ისინი გადასცემენ ერთმანეთს ინფორმაციას.
6. ინფორმაციის მიმღები ბოლო მოსწავლე დაფაზე ხატავს ბარათზე გამოსახულ სურათს.

იმარჯვებს ის გუნდი, რომელიც პირველი დაამთავრებს სამუშაოს. განიხილეთ მუშაობის შედეგები.

შემსწავლა

თითოეული ადამიანი ფლობს გარკვეულ უნარებს. ვიღაცა უკეთ ხატავს, ვიღაცა უკეთ თამაშობს ფეხბურთს, ვიღაცა უკეთესად კითხულობს ლექსებს, ასრულებს სიმღერებს. არსებობს ისეთი საქმეებიც, რომლების შესრულებაც ერთი ადამიანისათვის ძნელია. არსებობს ისეთი თამაშები, რომლებიც შეუძლებელია ერთმა ითამაშოს. ასეთ შემთხვევაში რამდენიმე ადამიანი გაერთიანდება, შექმნის გუნდს და გახდება ამ გუნდის წევრი.

გუნდში მუშაობისას ადამიანები ერთმანეთისაგან იღებენ ინფორმაციას და უზიარებენ მას. ასე სამუშაო წარმატებით სრულდება.

განხილვა

- როგორ ეხმარებიან გუნდის წევრები ერთმანეთს?
- რატომ უნდა ექცეოდნენ ერთმანეთს გუნდის წევრები პატივისცემით?

დავალება

1. გუნდური მუშაობის გამომსახველი სურათების ქვეშ წრეები მწვანედ გააფერადეთ.

2. რომელი ნიშნების მიხედვით აირჩიე გუნდური მუშაობის გამომსახველი სურათები?
3. რატომ არ მიგაჩნიათ გუნდურ მუშაობად ის სურათი, რომელიც არ გააფერადე?

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რით არის სასარგებლო გუნდში მუშაობა?
- რა შემთხვევაში ხდება გუნდის მუშაობა წარმატებული?

15 ჩვენი ნივთები სახლში

საკვანძო სიტყვები

- ნივთების ადგილი
- აკურატული ოთახი
- მშობლისთვის დახმარება

- რას აკეთებენ ბავშვები?
- როგორ ინახავთ საკუთარ ნივთებს?

საქმიანობა — მოდი მოვაწესრიგოთ

ოთახის მოწესრიგებისათვის, შეაერთეთ ხაზებით ნივთები მათ ადგილებთან.



შესწავლა

სათამაშოებს, წიგნებსა და ტანსაცმელს აქვს თავისი ადგილი. თუ გამოყენების შემდეგ, ჩვენ მათ მივუჩენთ თავის ადგილს, მაშინ ოთახი იქნება მოწესრიგებული. თუ თქვენ თვითონ დააწყობთ ნივთებს, გეცოდინებათ მათი ადგილი. სკოლაში წასასვლელად მომზადებისას, თქვენ სწრაფად იპოვით თქვენს ნივთებს და არ დაიგვიანებთ გაკვეთილებზე.
ამ სამუშაოს შესრულებით, თქვენ სახლის წესრიგში მოყვანაშიც იღებთ მონაწილეობას. მშობლებს გაუხარდებათ და დახმარებისათვის თქვენი მადლობლები იქნებიან.

განხილვა

- რატომ უნდა დააწყოთ თქვენ თქვენი ნივთები აკურატულად?
- რომელი საქმეების შესრულებაში ეხმარებით მშობლებს სახლში?

დავალება

ისაუბრეთ სურათების მიხედვით.
რომელ საშინაო საქმეებში ეხმარებიან ბავშვები მშობლებს?

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რომელ თქვენს სამუშაოს შეგიმსუბუქებთ აკურატულად დაწყობილი საგნები?
- რას გეუბნებიან თქვენი მშობლები, როცა მათ ეხმარებით?

გაკვეთილების შემდეგ

ჰკითხეთ მშობლებს:
– რომელი საქმეების შესრულებაში შეგიძლიათ თქვენ მიეხმაროთ მათ?

16 რისგან მზადდება ნივთები

საკვანძო სიტყვები

- მინა
- პლასტიკა
- მეტალი
- მასალა
- რეზინა

- რისგან არის დამზადებული ნივთები, რომლებიც დევს მაგიდაზე?
- ფიცრისგან დამზადებულ სხვა რომელ ნივთებს იცნობთ?

საქმიანობა ნივთები

ცხრილისშესაბამისადუჯრებშიჩაწერეთორინივთისდასახელება,რომლებიც დამზადებულია ხისაგან, მინისაგან, პლასტიკისა და ქაღალდისაგან.

	ფიცარი	მინა	პლასტიკა	ქაღალდი
ნივთი				

კიდევ რომელი მასალისგან დამზადებული ნივთებია კლასში?

შესწავლა

ნივთები მზადდება სხვადასხვა მასალისაგან. მაგალითის სახით ჩვენ შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი მასალები: როგორიცაა, ქაღალდი, მეტალი, პლასტიკა, მინა, ხე და რეზინა. ზოგიერთი ნივთი მზადდება ერთი, ხოლო ზოგიერთი - რამდენიმე მასალისაგან.

ქაღალდის ნაწარმი

მეტალის ნაწარმი

პლასტიკის ნაწარმი

რეზინის ნაწარმი

ხის ნაწარმი



მინის ნაწარმი



განხილვა

- რომელი მასალებისაგან არის დამზადებული ნივთები, რომლებსაც თქვენ იყენებთ ჭამის დროს?
- რამდენიმე მასალისაგან დამზადებული რომელ ნივთებს იცნობთ?

დავალება

1. რომელი მასალისგან არის დამზადებული ერთმანეთიანი და ორმოცდაათკაპიკიანი?
2. შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ სიტყვა “მეტალი”, “პლასტიკა” და “მინა”.

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რომელ მასალებს იცნობთ?
- რომელ ნივთებს ამზადებენ ამ მასალებისაგან?

17 მასალების თვისებები

საკვანძო სიტყვები

- მაგარი
- რბილი
- წყალგამტარი
- პრიალა



- რომელი საწოლია მაგარია და რომელი - რბილი?
- სხვანაირად როგორ შეგვიძლია განვასხვავოთ მასალები?

საქმიანობა — წყალგამტარი და წყალგაუმტარი მასალები

1. ორი ქაღალდის პარკიდან ერთი ცელოფნის პაკეტში, მეორე ქსოვილის ხელსახოცში შეახვიეთ.
2. შეხვეული ცელოფნის პაკეტი და ნაჭრის ხელსახოცი მოათავსეთ წყლიან ჭურჭელში.
გარკვეული ხანი დაალოდეთ და ამოიღეთ.

საჭირო ნივთები

ცელოფანის პაკეტი

ნაჭრის ხელსახოცი

ქაღალდის პარკი

ჭურჭელი

ცელოფანი



ქსოვილი

- რა ნახეთ ცელოფნის პაკეტსა და ხელსახოცში გახვეული ქაღალდის პარკების შემოწმებისას?
- რომელი მასალა არის წყალგამტარი და რომელი წყალგაუმტარი?

შეისწავლა

მასალები ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისი თვისებებით. ნივთები მზადდება მასალების თვისებებზე დამოკიდებულებით.

მაგარი და რბილი მასალები

მაგარი ნივთები



რბილი ნივთები

წყალგამტარი და წყალგაუმტარი მასალები

წყალგაუმტარი ნივთები

წყალგამტარი ნივთები

მძიმე და მსუბუქი მასალები

მძიმე ნივთები



მსუბუქი ნივთები

პრიალა და არაპრიალა მასალები

პრიალა ნივთები

არაპრიალა ნივთები

მასალებს ერთდროულად შეიძლება რამდენიმე თვისება ჰქონდეთ. მაგალითად, მეტალის მასალა მაგარი, მძიმე, პრიალა და წყალგაუმტარია.

განხილვა

- რომელი ნივთები მზადდება წყალგაუმტარი მასალებისაგან?
- რატომ არ ამზადებენ ჩანგალსა და კოვზს ქაღალდისაგან?

დავალება

1. მოცემული სიტყვები ჩაწერეთ შესაბამის ცარიელ ადგილებში.

წყალგამტარი	მაგარი	არაპრიალა
წყალგაუმტარი	რბილი	პრიალა

_____ მასალისაგან მზადდება.

_____ მასალისაგან მზადდება.

_____ მასალისაგან მზადდება.

_____ მასალისაგან მზადდება.

_____ მასალისაგან მზადდება.

_____ მასალისაგან მზადდება.

2. რომელი თვისების მქონე მასალისაგან უნდა დამზადდეს ფრანი, რომ ის აფრინდეს?

3. რომელი თვისებები უნდა გააჩნდეთ მასალებს, რომლებისგანაც მზადდება ნავი?

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რომელი თვისებები ახასიათებს მასალებს?
- რატომ უნდა ვიცოდეთ მასალების თვისებები?

18 ნივთების გადაადგილება

საკვანძო სიტყვები

- გამოწევა
- გაწევა
- მოძრაობა

- რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ გაიღოს მაცივრის კარი?
- რას აკეთებთ, რომ დაიხუროს მაცივრის კარი?

საქმიანობა შეეშუცვალოთ ჩვენს ნივთებს ადგილი

თქვენს მაგიდაზე მყოფი რომელიმე ნივთი თქვენკენ მისწიეთ. იგივე ნივთი თქვენგან დააშორეთ, თავის ადგილს დაუბრუნეთ.



- რა გააკეთეთ, რომ ნივთი თქვენკენ მისწიეთ ან თქვენგან დააშორეთ?

შემსწავლა

ჩვენ ხშირ-ხშირად ჩვენს ნივთებს ადგილებს ვუცვლით. ნივთების ადგილების შეცვლა შეიძლება მათი გამოწევითა და გაწევით. ნივთები ადგილებს იცვლიან მაშინ, როცა მათ გაწევ ან გამოწევ.

განხილვა

- როგორ გადააადგილებთ სკამს, რომ მაგიდასთან ახლოს დაჯდეთ?
- რა განსხვავებაა ადამიანების და ნივთების ადგილმონაცვლეობაში?

დავალება



1. შესაბამის ცარიელ უჯრებში ჩაწერეთ, რას აკეთებს თითოეული ბავშვი იმისათვის, რომ ყუთი დაიძრას ადგილიდან?
2. გააფერადეთ ისარი, რომელიც უჩვენებს ყუთის მიმართულებას.
3. თქვენი აზრით, ერთობლივად ყუთის ადგილიდან დაძვრა უფრო ადვილია?

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რისი გაკეთება არის საჭირო ჩვენი ნივთების ადგილის შესაცვლელად?

19 საყოფაცხოვრებო ნივთები ჩვენს სახლში

საკვანძო სიტყვები

- საყოფაცხოვრებო ტექნიკა
- საჭრელი ინსტრუმენტები
- სახვრეტი ინსტრუმენტები

- რისი გაკეთება სურთ სურათზე მოცემულ ბავშვებს?
- თქვენი აზრით, ბავშვებმა ეს სამუშაოები თვითონ უნდა შეასრულონ?

საქმიანობა ხელსაწყოები და ინსტრუმენტები

დაწერეთ საყოფაცხოვრებო ნივთების დასახელება და აღნიშნეთ რა მიზნით გამოყენება.

შემსწავლა

გაზქურა, ხორცსაკეპი, ფენი, უთო და სხვა ნივთები ეს არის საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რომელსაც იყენებს ადამიანი. საყოფაცხოვრებო ტექნიკა უმსუბუქებს ადამიანს სამუშაოს.
უსაფრთხოების მიზნით, ბავშვების მიერ საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენება არ არის რეკომენდირებული.

დანა და მაკრატელი საჭრელ-სახვრეტი მოწყობილობებია, რომლებითაც სარგებლობენ ყოფა-ცხოვრებაში. მათი გამოყენებისას მიმართეთ უფროსებს დახმარებისათვის.

განხილვა

- რისთვის სჭირდებათ ადამიანებს საყოფაცხოვრებო ტექნიკა?
- რომელ საქმეში გამოიყენება სახლში საჭრელი და სახვრეტი ინსტრუმენტები?
- რომელი დაზიანებების მიზეზი შეიძლება გახდეს საყოფაცხოვრებო ტექნიკისადმი გაუფრთხილებელი მოპყრობა?

დავალება

მჭრელი და სახვრეტი ინსტრუმენტების ქვეშ წრეები - წითლად, ელექტრონული ხელსაწყოების ქვეშ კი წრეები ლურჯად გააფერადეთ.



შეამოწმეთ საკუთარი თავი

- როგორ უნდა გამოვიყენოთ საყოფაცხოვრებო ტექნიკა?

განმაზოგადებელი დავალებები

1. ყურადღებით წაიკითხეთ წინადადებები. აღნიშნეთ ***ჭეშმარიტი*** და ***მცდარი*** მოსაზრებები.

	დიახ	არა
ჩვენს სკოლაში უცხო ენას ვსწავლობთ.		
ენები ერთმანეთისაგან არ განსხვავდება.		
სხვა ენის შესწავლა გვეხმარება მეგობრების შეძენაში.		

2. მოცემული ნაგავი შესაბამის ნაგვის ყუთებთან შეაერთეთ ხაზებით.



3. აზერი ხშირად აგვიანებს სკოლაში, იმიტომ რომ დილით არ შეუძლია დროულად გამოვიდეს სახლიდან. დაათვალიერეთ სურათი. გამოავლინეთ მიზეზი, რომლის გამოც ასე აგვიანებს და ქვემოთ დაწერეთ.

4 გარემო ჩვენს ირგვლივ

მზად ხართ?

- როგორ გვეხმარება ჩვენი გრძნობები შევისწავლოთ გარემომცველი სამყარო?
- როგორ განვსაზღვრავთ ხმის წყაროს?

20 როგორ შევიცნობთ გარემოს ჩვენს გარშემო

საკვანძო სიტყვები

- მხედველობა
- სმენა
- გემო
- ყნოსვა
- შეხება



- თქვენ რას აკეთებთ პიკნიკზე?
- რას გრძნობთ, როცა ეხებით თქვენ გარშემო მყოფ საგნებს?
- სხეულის რომელი წევრებით განსაზღვრავთ ყვავილების ფერსა და სუნს?

საქმიანობა — ვითამაშოთ თვალახვეულობა

1. ერთ-ერთ მოსწავლეს თვალებს ქსოვილის ნაჭრით აუხვევენ.
2. დანარჩენი ბავშვები მის გარშემო ხმებს გამოსცემენ და მოძრაობენ.
3. თავალებახვეული მოთამაშე ცდილობს დაიჭიროს სხვა ამხანაგი.

- ამ თამაშის დროს, ბავშვების დასაჭერად რას მოიმოქმედებდით?
- როგორ განსაზღვრავთ ბავშვებიდან, კერძოდ რომელი დაიჭირეთ?

შესწავლა

ყნოსვა

ცხვირით ვყნოსავთ.

დაგემოვნება

ენით ვაგემოვნებთ.

მხედველობა

თვალებით ვხედავთ.

შეხება

ხელებით ვეხებით.

სმენა

ყურებით ვისმენთ.

ხატვისას ვიყენებთ სხვადასხვა ფერს. ამ ფერებს ჩვენ განვასხვავებთ თვალებით დანახვით. ფრინველთა ჭიკჭიკს, ბავშვების ხმასა და სხვა ხმებს ვისმენთ ყურებით.

ჩვენ გვიყვარს საკვები, რომლების სუნიც და გემოც ჩვენ მოგვწონს. ზოგიერთი კერძის გემო არის მარილიანი, ხოლო ზოგიერთის - ტკბილი. სხვადასხვა გემოს ჩვენ შევიგრძნობთ ენის საშუალებით, ხოლო სუნს შევიგრძნობთ ცხვირით. ხელებით ნივთებთან შეხებისას, ჩვენ შევიგრძნობთ იგი ცხელია თუ ცივი, მშრალია თუ ტენიანი, მაგარია თუ რბილი. იმისათვის, რომ მივიღოთ ინფორმაცია გარემომცველ გარემოზე ვიყენებთ ჩვენს ხუთ გრძნობას.

განხილვა

- მიმოიხედეთ ირგვლივ და აღნიშნეთ ის, რასაც ხედავთ. რომელი გრძნობების დახმარებით მიიღეთ თქვენ ეს ინფორმაცია?
- შეხების შეგრძნების გარეშე, რომელი ინფორმაციიის მიღება იქნებოდა რთული?

დავალება

1. შეუსაბამეთ:

შეხება	დაგემოვნება	დანახვა	მოსმენა	ყნოსვა



2. შესაბამის ცარიელ უჯრებში ჩაწერეთ სიტყვები ***ჭეშმარიტია*** ან ***მცდარია***.

ა. ვაშლის გემოს ჩვენ ენით შევიგრძნობთ. ☐

ბ. ჩაის სითბოს ჩვენ ვგრძნობთ შეხების საშუალებით. ☐

გ. ყვავილების სუნს ჩვენ შევიგრძნობთ მათი გემოს გასინჯვით. ☐

3. რამდენი განსხვავებული ფოთოლია გამოსახული სურათზე? თქვენ ეს რომელი გრძნობის დახმარებით განსაზღვრეთ?

4. ქვემოთ ხაზგასმით აღნიშნეთ სწორი სიტყვა:

ა. მუსიკის მოსმენისას ჩვენ ვსარგებლობთ ***მხედველობის / სმენის*** გრძნობით.

ბ. სხვადასხვა ფერისა და ზომის ნივთებს ჩვენ განვასხვავებთ ***მხედველობით/ სმენით***.

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- როგორ გაიგებთ, რომ ნივთები მაგარია თუ რბილია, ცხელია თუ ცივია?
- რომელი გრძნობის ორგანოებით განსაზღვრავთ ფორთოხლის გემოს, სუნსა და ფორმას?

21 საიდან ისმის ხმა

საკვანძო სიტყვები

- ხმის წყარო
- მაღალი ხმა
- დაბალი ხმა

- რისთვის იყენებთ თქვენს ხმას?
- რას აკეთებთ იმისათვის, რომ შორს მყოფმა ამხანაგმა გაიგოს თქვენი ხმა?

საქმიანობა

მოვისმინოთ სიმღერა

1. ყურადღებით მოისმინეთ სიმღერა, რომელსაც ახმოვანებს მასწავლებელი.

2. ხელი აწიეთ, როცა გესმით სიმღერა.



- ყველა მოსწავლემ ერთდროულად რატომ არ ასწია ხელი?
- რატომაა, რომ მასწავლებლის თქვენთან მოახლოებისას, თქვენ უკეთ გესმით სიმღერა?

შესწავლა

ჩვენ გამოვცემთ სხვადასხვა ხმას როცა ვესალმებით, ვმღერით ან ვეძახით ვიღაცას.
ფრინველები, მუსიკალური ინსტრუმენტები და სათამაშოებიც გამოსცემს ხმას. ყველაფერი, რაც გამოსცემს ხმებს, წარმოადგენს ხმის წყაროს.
ამხანაგთან, რომელიც ჩვენს გვერდითაა, ვსაუბრობთ ხმადაბლა, ხოლო თუ ჩვენი ამხანაგი ჩვენგან დაშორებულია, ჩვენ ვიმაღლებთ ხმას. წყაროდან დაშორებისას ხმა სუსტდება.

განხილვა

- ხმის მიხედვით, როგორ შეიძლება იმის განსაზღვრა, სასწრაფო დახმარების მანქანა გვიახლოვდება თუ გვშორდება?
- რა მოხდება, თუ მოსწავლეები კლასში ერთდროულად დაიწყებენ ხმამაღლა ლაპარაკს?

დავალება

1. აღნიშნეთ სურათზე გამოსახული ხმების წყაროები (✓).

2. დახუჭეთ თვალები და ყურადღებით მოუსმინეთ თქვენს გარშემო ხმებს.

- როგორი ხმები გესმით?
- რა შეიძლება იყოს ამ ხმების წყარო?

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- საიდან ისმის ხმები?
- თუ ხმის ერთი და იგივე წყარო იქნება ჩვენთან ახლოს ან ჩვენგან შორს, მაშინ ჩვენ როგორ გავიგებთ მისგან გამოცემულ ხმას?

22 როგორი ამინდია დღეს

საკვანძო სიტყვები

- ღრუბლიანი
- თოვლიანი
- სიმბოლო

- ახლა როგორი ამინდია გარეთ?
- როგორი ამინდი მოგწონთ თქვენ? რატომ?

საქმიანობა ქარის ტომარა

1. გააკეთეთ მილი სქელი ქაღალდისაგან.
2. ფერადი ქაღალდისაგან მოჭერით ვიწრო ლენტები.
3. ლენტების წვეროები დააწებეთ ქაღალდის მილის ნაპირებზე. თქვენ დაამზადეთ ქარის ტომარა.
4. დაკიდეთ ქარის ტომარა გარედან და გარკვეულ ხანს დააკვირდით მას.



- რა დაინახეთ თქვენ ქარის ტომარაში?
- ქარის ტომრის საშუალებით, რომელი ინფორმაციები შეგვიძლია მივიღოთ?

შესწავლა

სახლიდან გასვლისას ვითვალისწინებთ ამინდის მდგომარეობას. ამინდი ზოგჯერ - ცხელი, ზოგჯერ კი ცივია. ეს დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა ამინდი მზიანი, ღრუბლიანი, წვიმიანი, თოვლიანი ან ქარიანი. დღის განმავლობაში საინფორმაციო საშუალებებიდან, ვიღებთ ინფორმაციას ამინდის მდგომარეობის შესახებ. ამ ინფორმაციების წარდგენისას გამოიყენება სიმბოლოები.


მზიანი

ქარიანი

ღრუბლიანი

წვიმიანი

თოვლიანი

განხილვა

- როგორ შეგვიძლია გავიგოთ წინასწარ ამინდის მდგომარეობა?
- რისთვის არის აუცილებელი ამინდის პირობების ცოდნა?

დავალება

1. ამინდის პირობები შეაერთეთ შესაბამის სიმბოლოებთან.

2. სამ დღეს დააკვირდით ამინდს, შედეგები აღნიშნეთ სიმბოლოების ცხრილში.

დღე:	დღე:	დღე:

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რომელი ამინდის პირობებს იცნობთ?
- როგორ შეიძლება წარადგინოთ უსიტყვოდ ინფორმაციები ამინდის პირობების შესახებ?

23 რა გავლენას ახდენს ჩვენზე წელიწადის დროები

საკვანძო სიტყვები

- წლის დროები
- ამინდის პირობები
- ტანსაცმელი

- წელიწადის რომელ დროს არის სიცივე?
- თქვენ როგორ იცვამთ ცივ ამინდში?

საქმიანობა — წელიწადის დროები

გააფერადეთ სურათები წელიწადის დროების მიხედვით.

- სურათის მიხედვით ჩამოთვალეთ სამი განსხვავება, წელიწადის ნებისმიერ ორ დროს შორის.

შესწავლა

წლისგანმავლობაშიამინდისპირობებიიცვლება.ესცვლილებებიცნობილია, როგორც წელიწადის დროები. წელიწადის დროები განსხვავდება თბილი, ცივი, წვიმიანი, თოვლიანი, ქარიანი და ღრუბლიანი ამინდით.

გაზაფხული:
ჰაერი თბება.
ყვავიან ხეები.

ზაფხული:
ჰაერი ცხელია.
ხილის სიჭარბეა.

შემოდგომა:
ამინდი ცივდება.
ფოთლები ყვითლდება.

ზამთარი:
ამინდი ცივია.
თოვს.

ზამთარში სქელ, ზაფხულში თხელ და მსუბუქ ტანსაცმელს ვიცვამთ. ეს აუცილებელია ჩვენი ჯანმრთელობისათვის.

განხილვა

- წელიწადის რა დროა ახლა? რა ნიშნებით განსაზღვრეთ სეზონი?
- რატომ ვიცვამთ წელიწადის დროების შესაბამისად?

დავალება

1. შეაერთეთ წელიწადის დროები შესაბამის ტანსაცმელთან.
2. ჩაწერეთ შესაბამის წრეებში სიმბოლოების ციფრები.



3. ქვემოთ მოცემულ წინადადებებს შორის აირჩიეთ ჭეშმარიტი (✓) და მცდარი (✗) გამონათქვამები.

სექტემბერი, ოქტომბერი და ნოემბერი შემოდგომის თვეებია. ☐

წელიწადის ყველა დროს ამინდის პირობები ერთნაირია. ☐

წელიწადის დროები, წლის განმავლობაში, ენაცვლება ერთმანეთს. ☐

ზამთარში ამინდი თბება და ყვავის ხეები. ☐

ზაფხულის თვეებში ამინდი უფრო ცხელია, ვიდრე გაზაფხულზე. ☐

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- წელიწადის რომელი დროები არსებობს?
- რომელი ნიშნების მიხედვით განვასხვავებთ წელიწადის დროებს?

24 ცოცხალი და არაცოცხალი

საკვანძო სიტყვები

- გაზრდა
- გამრავლება
- კვება

- რატომ არ შეუძლიათ სათამაშოებს ჭამონ საჭმელი?
- თქვენი გაზრდისას, თქვენი სათამაშოებიც იზრდება?

საქმიანობა ცოცხალი არსებების ნიშნები

აღნიშნეთ (✓) ცოცხალი არსებები.

- რომელი ნიშნების მიხედვით განსაზღვრეთ ცოცხალი არსებები?

შესწავლა

ცოცხალი ორგანიზმები მოძრაობენ, სუნთქავენ, იკვებებიან, იზრდებიან და მრავლდებიან. არაცოცხალი საგნები არ იკვებებიან, არ სუნთქავენ, არ მოძრაობენ, არ იზრდებიან და არ მრავლდებიან.

განხილვა

- რატომ მოძრაობენ ცოცხალი არსებები?
- შეუძლიათ თუ არა არაცოცხალ საგნებს დამოუკიდებელი მოძრაობა?

დავალება

ჩაწერეთ შესაბამის ცარიელ უჯრებში სიტყვები, "სწორია" ან "მცდარია".

1. ცოცხალი ორგანიზმები სვამენ წყალს. _____
2. სათამაშო დათვი სუნთქავს. _____
3. ცოცხალი ორგანიზმები მრავლდებიან. _____
4. ბავშვები გაზრდისას იცვლებიან. _____

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რომელია ცოცხალი არსებების ნიშნები?
- რით განსხვავდებიან ცოცხალი ორგანიზმები არაცოცხალი ორგანიზმებისაგან?

25 რა არის საჭირო სიცოცხლისათვის

საკვანძო სიტყვები

- ჰაერი
- საკვები
- მზის სინათლე

- რას აკეთებენ მტრედები და იხვები?
- კიდევ რა არის საჭირო ცოცხალი არსებების სიცოცხლისათვის?

საქმიანობა — ცოცხალი არსებების მოთხოვნილებები

აღნიშნეთ (✓), რა არის საჭირო ცოცხალი არსებების სიცოცხლისათვის.



- აქედან რომელია თან მცენარეებისა და თან ადამიანების სიცოცხლისათვის აუცილებელი?

შესწავლა

ადამიანებისა და ცხოველების სუნთქვისათვის ჰაერია საჭირო. ცოცხალი არსებების სიცოცხლისათვის, ასევე აუცილებელია წყალი და საკვები. ადამიანები და ცხოველები სიცოცხლისათვის წყალს სვამენ და იკვებებიან. მცენარეების სიცოცხლისათვის, წყალთან ერთად, მზის სინათლეა საჭირო.

განხილვა

- როგორ იმოქმედებს წყლის არ არსებობა მცენარეების სიცოცხლეზე?
- რატომ არის აუცილებელი კვება?

დავალება

სწორი პასუხების ქვეშ გაუსვით ხაზი:

1. იმისათვის, რომ იცოცხლონ, ადამიანებს ესაჭიროებათ *ტელევიზორი / ჰაერი.*

2. იმისათვის, რომ იცოცხლონ, მცენარეები საჭიროებენ მზის *სინათლეს / ვაზას.*

3. იმისათვის, რომ იცოცხლონ, ჩიტებს ესაჭიროებათ *გალია / წყალი.*

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რა ესაჭირეობათ ცხოველებს, რომ დარჩნენ ცოცხლები?
- რა ესაჭირეობათ მცენარეებს სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის, მზის სინათლის გარდა?

განმაზოგადებელი დავალებები

1. წერტილების ადგილას ჩაწერეთ შესაბამისი სიტყვები:

ვყნოსავთ *გვესმის* *ვხედავთ* *ვეხებით* *ვაგემოვნებთ*

ჩვენ თვალებით .....

ჩვენ ცხვირით .....

ჩვენ ხელებით .....

ჩვენ ენით .....

ჩვენ ყურებით .....

2. შეავსეთ წინადადება სიმბოლოებისა და სურათების გამოყენებით.

• ამინდი _____ -ია. ასეთი ამინდის პირობები ხშირად _____ აღინიშნება.

• ამინდი _____ -ია. ამინდი _____ იწყებს გაციებას და ფოთლები ყვითლდება.

• ამინდი _____ -ია. ამინდი ძალიან ცივია და გარშემო ყველაფერი გადათეთრებულია. ეს _____ .

5 ფრთხილად ვიყოთ

მზად ხართ?

- ბავშვების რომელი ქცევა არის სახიფათო სურათზე?
- პარკში, ეზოში, თამაშის დროს რას უნდა მიექცეს ყურადღება?

26 სატრანსპორტო საშუალებები

საკვანძო სიტყვები

- ტრანსპორტი
- ლიფტი
- ესკალატორი

- რომელი სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობთ თქვენ?

საქმიანობა — სატრანსპორტო საშუალებები

ცარიელ უჯრებში ჩაწერეთ სატრანსპორტო საშუალებების დასახელება. დანომრეთ ისინი მათ მიერ გამოყენებული გზების შესაბამისად.



შემსწავლა



მსუბუქი ავტომობილი, ავტობუსი, მატარებელი, თვითმფრინავი, გემი სატრანსპორტო საშუალებებია. სატრანსპორტო საშუალებებს გადაჰყავთ მგზავრები და გადააქვთ ტვირთი. ესკალატორი და ლიფტიც სატრანსპორტო საშუალებებია. ამ სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობენ, იმიტომ, რომ ავიდნენ მაღლა და ჩამოვიდნენ დაბლა.
თუ ლიფტში იხტუნავებთ და ითამაშებთ მისი ღილაკებით, ლიფტი შეიძლება გაფუჭდეს. ესკალატორზე სირბილი ან მის საფეხურებზე დაჯდომა არ შეიძლება, რადგან ეს შეიძლება იყოს სახიფათო როგორც თქვენთვის, ისე სხვა მგზავრებისათვის.

განხილვა

- როგორ გვიმსუბუქებენ სატრანსპორტო საშუალებები ჩვენს საქმეებს?
- რა სახიფათო შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ესკალატორზე სირბილმა?

დავალება

აღნიშნეთ (✓) ბავშვები, რომლებიც იცავენ ლიფტითა და ესკალატორით სარგებლობის წესებს.

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რომელ სატრანსპორტო საშუალებებს იცნობთ თქვენ?
- რომელი წესების დაცვაა საჭირო ლიფტში და ესკალატორზე?

27 ყურადღებით ვიყოთ

საკვანძო სიტყვები

- უცნობი ადამიანები
- უპატრონო ნივთები

- თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს ქემრანი?

საქმიანობა — უცნობი ადამიანები და უპატრონო ნივთები

გაითამაშეთ თქვენს თანაკლასელებთან მოკლე სცენები სურათის მიხედვით.



სცენა 1.

1. ერთ-ერთი მოსწავლე, უცნობი ადამიანის როლში, გაუწოდებს კანფეტს მეორე მოსწავლეს.
2. მოსწავლე, რომელსაც გაუწოდებენ კანფეტს, თავისი არჩევანის მიხედვით უჩვენებს, როგორი მოქცევაა საჭირო მოცემულ სიტუაციაში.

სცენა 2.

1. ერთ-ერთი მოსწავლე სკამზე ხედავს უპატრონო შეკვრას.
2. მოსწავლე, თავისი არჩევანის მიხედვით, უჩვენებს როგორი მოქცევა არის საჭირო.

შემსწავლა

ნუ გექნებათ ურთიერთობა თქვენთვის უცნობ ადამიანებთან, თუ თქვენ გვერდით არ არიან უფროსები. თუ თქვენ ქუჩაში, ეზოსა და ტრანსპორტში დაინახავთ უპატრონო საგანს ან შეკვრას, ნუ შეეხებით მას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი უსაფრთხოებისათვის. ასეთ შემთხვევებში, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ამის შესახებ, მშობლებს ან ნაცნობებს. თუ ჩამოთვლილ პირთაგან, ახლოს არავინ არ აღმოჩნდება, მიდით მარკეტში გამყიდველთან, ქუჩაში პოლიციელთან, პარკში დაცვასთან და თხოვეთ მათ დახმარება. ისინი თქვენ დაგეხმარებიან.

განხილვა

- რატომ არ შეიძლება ურთიერთობაში შესვლა უცნობ ადამიანთან?
- რატომ არ უნდა შეეხოთ უპატრონო ნივთებს?

დავალება

პარკში თამაშისას ბავშვმა უპატრონო ჩანთა დიანახა. როგორ უნდა მოიქცეს ის? ცარიელ უჯრაში ჩაწერეთ სიტყვა “სწორია”, “არასწორია”.

1. უნდა გახსნას ჩანთა და ჩაიხედოს მასში. _____
2. არ უნდა შეეხოს ჩანთას, უნდა შეატყობინოს მშობლებს ან პოლიციელს. _____
3. უნდა წაიღოს ჩანთა სახლში. _____

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- როგორ უნდა მოიქცეთ, თუ თქვენ მოგიახლოვდათ უცნობი ადამიანი?
- ვის უნდა მიმართოთ, უპატრონო შეკვრის დანახვისას?

28 როგორ დავიცვათ თავი ღვარცოფისაგან

საკვანძო სიტყვები

- ღვარცოფი
- წყალდიდობა



- რომელი საფრთხის შესახებ საუბრობს პაპა?
- როგორ შეიძლება ამ საფრთხისაგან თავის დაცვა?

საქმიანობა ღვარცოფთან ბრძოლა

პლასტილინისაგან მდინარე და სახლების წინ დასაწყობად ქვიშის ტომრები დაამზადეთ.

- რატომ აწყობენ ქვიშის ტომრებს სახლების წინ?

შესწავლა

ხშირად ხდება ისეთი მოვლენები, რომლებიც ზიანს აყენებს სახლებს, ცხოველებსა და ასევე მინდვრებს. ღვარცოფის ნაკადები წარმოადგენს ერთ-ერთ ასეთ მოვლენას. თოვლის დნობის ან თავსხმა წვიმების შედეგად წყალი მდინარეებში მატულობს. ამ დროს ხდება ღვარცოფი და წყალდიდობა. თუ ღვარცოფისა და წყალმოვარდნების დროს სახლში ხართ, დაუყოვნებლივ სახლის ზედა სართულზე ან სხვენზე ასვლაა საჭირო. თუ გარეთ ხართ საჭიროა ყველაზე მაღალ ადგილზე ახვიდეთ, შეაფაროთ თავი. ღვარცოფითა და წყალმოვარდნებით დატბორილ ადგილებში თამაში საშიშია.

განხილვა

- რა არის გაზაფხულზე წყალმოვარდნების მიზეზი?
- რატომ არის საჭირო ღვარცოფისა და წყალდიდობის დროს ყველაზე მაღალ ადგილზე ასვლა?

დავალება

შეარჩიეთ და აღნიშნეთ (✓) სწორი მოქმედებები ღვარცოფის ნაკადებისა და წყალდიდობებისაგან შეამოწმეთ საკუთარი თავი.

შეამოწმეთ საკუთარი თავი

- როგორ განმარტავდით ღვარცოფისა და წყალდიდობის მოხდენას?
- როგორ შეიძლება ღვარცოფისა და წყალდიდობის საფრთხისაგან თავის დაცვა?

29 საგანგაშო გამოძახება

საკვანძო სიტყვები

- ხანძარი
- დახმარება
- 1-1-2

- რა გახდა ხეზე ცეცხლის წაკიდების მიზეზი?
- თქვენ რას გააკეთებდით იმისათვის, რომ კატა გადაგერჩინათ?

საქმიანობა — მე ვიცი ჩემი მისამართი

ჩაწერეთ იმ ქვეყნის, ქალაქის, დასახლების (სოფლის), ქუჩის დასახელება და სახლის ნომერი, სადაც თქვენ ცხოვრობთ.



განმარტეთ წრეებს შორის ისრის მნიშვნელობა.

შესწავლა

საგანგებო შემთხვევები ხდება გაუფრთხილებლობით. თუ ბავშვი ასანთით ითამაშებს, გაზქურა დარჩება ზედამხედველობის გარეშე და სხვა მიზეზების გამო, შეიძლება გაჩნდეს ხანძარი და მოხდეს აფეთქება. ჩვენ უნდა ვიცოდეთ როგორ მოვიქცეთ მსგავს სიტუაციებში. ხანძრის დროს დარეკეთ, აკრიფეთ ტელეფონზე ციფრები 1-1-2. იმისათვის, რომ შეატყობინოთ თქვენი ადგილმდებარეობა, სთხოვეთ მშობლებს და დაიმახსოვრეთ თქვენი ქუჩის დასახელება და სახლის ნომერი. თქვენ შეგიძლიათ ჩაიწეროთ ეს მონაცემები ფურცელზე და შეინახოთ იგი გამოსაჩენ ადგილას.

განხილვა

- რა შეიძლება გახდეს ხანძრის მიზეზი?
- 1-1-2 ნომერზე დარეკვის გარდა, კიდევ რა შეგიძლიათ გააკეთოთ ხანძრის დროს?
- რატომ უნდა იცოდეთ თქვენი სახლის მისამართი?

დავალება

აღნიშნეთ (✓) საგნები, რომლებმაც გაუფრთხილებელი მოქცევისას შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი.



შეამოწმეთ საკუთარი თავი

- რა მიზეზებმა შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი?
- რომელ ინფორმაციებს უნდა ვფლობდეთ ჩვენ და რომელ ნომერზე უნდა დავრეკოთ, რომ შევატყობინოთ ხანძრის შესახებ?

განმაზოგადებელი დავალებები

1. იპოვეთ და შემოხაზეთ ტელეფონის ნომერი, რომელზეც თქვენ უნდა დარეკოთ საფრთხის შემთხვევაში.

8-8-8	6-6-6	7-7-7	2-2-2
3-3-3	2-2-2	9-9-9	4-4-4
0-0-0	5-5-5	1-1-2	9-1-9

2. როგორ უნდა მოიქცეს მოცემულ სიტუაციაში ბავშვი, რომელიც გამოსახულია სურათზე? ჩაწერეთ თქვენი პასუხი.

3. აღნიშნეთ (✓) სურათი, რომელზეც წყალდიდობა არის გამოსახული.



BURAXILIŞ MƏLUMATI

Ümumi təhsil müəssisələrinin 1-ci sinifləri üçün
Həyat bilgisi fənni üzrə
dərslik
Gürcü dilində

Tərtibçi heyət:

Müəlliflər	**Elşad Yunusov**
	Gülər Mehdiyeva
	Elmina Kazımzadə
	Yalçın İslamzadə
	Elmar İmanov
	Famil Ələkbərov
Koordinator	**Əli Ağacanlı**
Redaktor	**Əsgər Quliyev**
İxtisas redaktoru	**İsmayıl Sadıqov**
Tərcüməçi	**Çalabi Abdurahmanov**
Bədii redaktor	**Eldəniz Xocazadə**
Texniki redaktor	**Zeynal İsayev**
Dizayner	**Ramin Abdurahmanov**
Rəssam	**Elmir Məmmədov**
Korrektor	**Çalabi Abdurahmanov**
Məsləhətçi	**Rasim Abdurazaqov**
Məsləhətçi qurum	**"Alston" Nəşriyyat Evi**

© Azərbaycan Respublikası Elm və Təhsil Nazirliyinin qrif nömrəsi: 2024-006

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri
və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq,
elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

ISBN 978-9952-550-11-5

Hesab-nəşriyyat həcmi: 9,6. Fiziki çap vərəqi: 10.
Səhifə sayı: 80. Kəsimdən sonra: 220 × 275. Kağız formatı: 57 × 90 $^{1}/_{8}$.
Şriftin adı və ölçüsü: Segoe UI, 16 pt. Ofset kağızı. Ofset çapı.
Sifariş ___. Tiraj: 150. Pulsuz. Bakı – 2024.

Əlyazmanın yığıma verildiyi və çapa imzalandığı tarix: 28.03.2024

Çap məhsulunu hazırlayan:
Azərbaycan Respublikasının Təhsil İnstitutu (Bakı ş. A.Cəlilov küç., 86).

Çap məhsulunu istehsal edən:
"Çaşıoğlu" MMC (Bakı ş. M.Müşfiq küç., 2 A).

Pulsuz

Əziz məktəbli !

Bu dərslik sizə Azərbaycan dövləti tərəfindən bir dərs ilində istifadə üçün verilir. O, dərs ili müddətində nəzərdə tutulmuş bilikləri qazanmaq üçün sizə etibarlı dost və yardımçı olacaq.

İnanırıq ki, siz də bu dərsliyə məhəbbətlə yanaşacaq, onu zədələnmələrdən qoruyacaq, təmiz və səliqəli saxlayacaqsınız ki, növbəti dərs ilində digər məktəbli yoldaşınız ondan sizin kimi rahat istifadə edə bilsin.

Sizə təhsildə uğurlar arzulayırıq!